

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ

2012 წლის 14 თებერვალს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

• **ბუშატი და სხვები ალბანეთის წინააღმდეგ – განაცხადი №6397/04**

აპლიკანტები ალბანეთის მოქალაქეები არიან და ცხოვრობენ შკოდერში. 2009 წლის 8 დეკემბერს სტრასბურგის სასამართლომ თავის განჩინებაში დაადგინა, რომ განმცხადებელების საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და პირველი ოქმის I მუხლი, აპლიკანტების სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღუსრულებლობის გამო, რომელიც მიწის ნაკვეთს ეხებოდა. ამჟამინდელი გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადგინა, რომ ალბანეთის მთავრობამ განმცხადებლებს უნდა გადაუხადოს 11.500 ევროს ერთობლივად, არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

• **დ.დ. ლიტვის წინააღმდეგ – განაცხადი №13469/06**

აპლიკანტი დ.დ. ლიტვის მოქალაქეა, დაიბადა 1963 წელს და ამჟამად ცხოვრობს ლიტვაში სოციალური დახმარების სახლში. აპლიკანტი დაავადებულია შიზოფრენიით. 2000 წელს იგი იურიდიულად ქმედულნაროდ სცნეს. შესაბამისად, მისი მამობილი დაინიშნა მის მზრუნველად. მამობილის მოთხოვნის საფუძველზე განმცხადებელი 2004 წლის ივნისში გადაიყვანეს სახლში. მოგვიანებით იგი მოათავსეს კედაინაის მზრუნველობის სახლში, სადაც დღემდე იმყოფება. კონვენციის მე-5 მუხლის I და IV ნაწილებზე დაყრდნობით, განმცხადებელი ჩივის, რომ ამ სახლში იგი გადაიყვანეს თავისი ნებართვის გარეშე და არ პქონდა საშუალება ეს გადაწყვეტილება სასამართლოში გაესაჩივრებინა. იგი ასევე ჩიოდა, რომ სასამართლო განხილვები, რომელიც 2005 წელს დაიწყო მისი აპეკტების საკითხის გადასაწყვეტად, არასამართლიანი იყო. იგი ასევე ჩივის კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის გამო.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და მე-5 მუხლის IV ნაწილი, ხოლო კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის მითნა, რომ არ დარღვეულა. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 8.000 ევროს გადახდა არამატერიალურის ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 5.000 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

• **პაჯი მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ – განაცხადი №№32844/07 და 41378/07**

აპლიკანტი იური პაჯი მოლდოვას მოქალაქეა, დაიბადა 1973 წელს და ამჟამად 12-წლიან სასჯელს იხდის ბენდერში (მოლდობა) კრიმინალური დაჯგუფების წევრობის გამო, რომელიც მანქანების გატაცებით იყო დაკავებული. კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ მას არაადამიანურ პირობებში ამყოფებდნენ საპატიმროებში.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 3.000 ევროს გადახდა.

• შუმქოვა რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №9296/06

აპლიკანტი მარია შუმქოვა რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1928 წელს და ცხოვრობს ირკუტსკში. საქმე ეხება ქალბატონი შუმქოვას 49 წლის შეიძლის თვითმკვლელობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2001 წელს ციხეში, სადაც გარდაცვლილი მკვლელობისა და ცრუმოწმეობისათვის იხდიდა სასჯელს. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ციხის ადმინისტრაციას ბრალი მიუძღვოდა მისი ვაჟის გარდაცვალებაში, რადგან მათვის ცნობილი იყო გარდაცვლილის ფსიქიური მდგომარეობა, მას თვითმკვლელობის ჩადენის მცდელობა ადრეც ჰქონდა. ციხის ადმინისტრაციამ ვერ შეძლო მსგავსი ფაქტების აღკვეთა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონკრეტული მე-2 მუხლი. სახელმწიფოს განმცხადებლის სახარევებლოდ დაუკისრა 24.000 უკროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

• ტკაჩოვები რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №25430

აპლიკანტები ვიკტორ და ელვირა ტკაჩოვები რუსეთის მოქალაქეები არიან, დაიბადნენ 1957 და 1966 წლებში და ცხოვრობენ მოსკოვში. საქმე ეხება 2005 წელს მათი ბინიდან გამოსახლებას, რომელიც მოსკოვის კრემლთან ახლოს ისტორიულ უბანში, ზნამენსკას ქუჩაზე მდებარეობს. გამოსახლების საფუძველი იყო საცხოვრებელი სახლის ავარიულობა და მოსკოვის სახელმწიფო ხელოვნების გალერეის შენობის გაფართოება, რაც განმცხადებლების აზრით არ იყო რეალური მიზეზი. ისინი ამტკიცებდნენ, რომ შენობა მას შემდეგ შეაკეთეს და ფეშნებელურ რეზიდენციად გადააკეთეს. განმცხადებელებს მიაჩნიათ, რომ მათ მიმართ დაირღვა კონკრეტული პირების მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონკრეტული პირებების მუხლი I მუხლი. რაც შეეხება სამართლიან დაკმაყოფილებას, სასამართლომ ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება გადადო და მხარეებს შეხთავაზა, განჩინების გამოცხადებიდან სამი თვის განმავლობაში წარადგინონ თავიანთი წერილობითი მოსაზრებები.

• გოლოდარსკი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №45202/04

აპლიკანტი მიხეილ ვოლოდარსკი რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1969 წელს და ცხოვრობს მოსკოვში. იგი დააკავეს და მოათავსეს პოლიციის საპატიმროში თავდასხმისა და ჩანთის ქურდობის ბრალდების გამო. განმცხადებელი ჩივის, რომ მას საპატიმროში არაადამიანურად ეპურობოდნენ და არასათანადი პირობებში იმყოფებოდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულია კონკრეტული მე-3 მუხლი.

ანალოგი საქმეები

• დიმიტარ ივანოვი ბულგარეთის წინააღმდეგ – განაცხადი №19418/07

საქმე ეხება განმცხადებლის სისხლის სამართლის საქმის გაჭიანურებით განხილვას, რომელიც ყაჩაღობის ბრალდების გამო იყო აღძრული მის წინააღმდეგ. სარეაბილიტაციო საქმის წარმოების მსვლელობისას, მას აეკრძალა ბულგარეთის ტერიტორიის დატოვება, რასაც ასევე ასაჩივრებს განცხადებელი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, მე-13 მუხლი და მე-4 ოქმის II მუხლი.

• პულევა და რადევა ბულგარეთის წინააღმდეგ – განაცხადი №36265/05

აპლიკანტები არენდით ცხოვრობენ პომორიეს საბჭოს სახლში. მათ აღნიშნულ შენობაში ჩაატარეს კატიტალური რემონტი. ადგილობრივმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცადებლებს უნდა მიედოთ ფულადი კომპენსაცია აღნიშნული სანაცვლოდ, თუმცა ეს გადაწყვეტილება არ აღსრულებულა. აპლიკანტები ჩივიან, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და პირველი ოქმის I მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და პირველი ოქმის I მუხლი.

• გალაზეა პოლონეთის წინააღმდეგ – განაცხადი №18661/09

აპლიკანტი ჩივის მისი წინასწარი პატიმრობის ვადის გაჭიანურების გამო, რომელიც მიესაჯა მას ორგანიზებული დანაშაულის, კერძოდ, მკველელობის, ყაჩაღობის მცდელობის და ნარკოტიკული ნივთიერებებით ვაჭრობის გამო.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი.

• სიონეა რუმინეთის წინააღმდეგ – განაცხადი №17009/03

აპლიკანტი ქალბატონი ტიმონა სიონეა რუმინეთის მოქალაქეა, დაიბადა 1962 წელს. ის მუშაობდა ბანკში და 2002 წლის 30 სექტემბერს მიუსაჯეს წინასწარი პატიმრობა სხვა პირებთან გარიგებისა და გაყალებებული საბუთების საფუძველზე საბანკო კრედიტების გაცემის გამო. კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ ადგილობრივმა სასამართლო ვერ დაასაბუთა მისი წინასწარი პატიმრობაში ყოფნის საჭიროება, რითაც მის მიმართ დაირღვა კონვენციის აღნიშნული მუხლის მოთხოვნები.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის III და IV ნაწილები.

გაჭიანურებით განხილული საქმეების თაობაზე

- ოპრისი და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ – განაცხადები №№ 29116/03, 33405/04, 43013/05, 7360/06 და 13610/06

აღნიშნულ საქმეებზე სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის მოთხოვნები.